ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4258517

ნომერი: AR1642064

თარიღი : 05.11.2018

გაცემის თარიღი : 04.12.2018

გაცნობის თარიღი : 04.12.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქ.თბილისი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაზა ბასილაძე პ/ნ 41001006464
- ბულაჩაურის ქუჩა

ნომენკლატურა :

- აშენებული
- სხვა ფუნქციის შენობა
- ლეგალიზება
- უნებართვო მშენებლობა

...სატიტულო ინფორმაცია :

- ...ფუნქციური დანიშნულება : კაფე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს (შემდგომში - არქიტექტურის სამსახური), მისი ოფიციალური ვებ-გვერდის www.tas.geმეშვეობით ელექტრონულად წარმოდგენილი №AR1642064 განცხადებით მომართა, ზაზა ბასილაძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, სამგორში, ლილოს დასახლებაში კახეთის გზატკეცილზე; ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, „საქნავთობი“-ს დასახლების მიმდებარედ, შპს „ნია“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: №406211291) საკუთრებაში არსებულ №01.19.15.008.106 მიწის ნაკვეთზე, უნებართვოდ აშენებული სხვა ფუნქციის შენობის, მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმის მიხედვით შენობა-ნაგებობა №01/2-ის ლეგალიზება, პროექტისშემთანხმებელი და

მშენებლობისნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათინაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის №660–ე ბრძანებულებითდამტკიცებული წესის თანახმად. არქიტექტურის სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, გადაამოწმა მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაცია, შეისწავლა №AR1642064 განცხადებაზე თანდართული დოკუმენტები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ განმცხადებელს უარი უნდა ეთქვას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე შემდეგი გარემოებების გამო:

საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციით მოსარგებლე, 2018 წლის 4 ივნისის მდგომარეობით მომზადებულ, სარეგისტრაციო ნომრით №892018479231 მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმაზე, №AR1642064 განცხადებით სალეგალიზებოდ წარმოდგენილი ობიექტი დაფიქსირებული იყო მშენებარედ ანუ მშენებლობა დაუსრულებელ ობიექტად.

საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციით მოსარგებლე, 2018 წლის 13 ივნისის მდგომარეობით მომზადებულ, სარეგისტრაციო ნომრით №892018510553 მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმაზე, №AR1642064 განცხადებით სალეგალიზებოდ წარმოდგენილი ობიექტი დაფიქსირდა მშენებლობა დასრულებულად და არა მშენებარედ.

საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციით მოსარგებლე, 2018 წლის 4 ივნისის მდგომარეობით მომზადებული, სარეგისტრაციო ნომრით №892018479231 მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმის, 2018 წლის 13 ივნისის მდგომარეობით მომზადებული, სარეგისტრაციო ნომრით №892018510553 მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმის და არქიტექტურის სამსახურის მონაცემთა ბაზის გადამოწმების და ურთიერთშედარების საფუძველზე, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებაა, რომ ქ. თბილისში, სამგორში, ლილოს დასახლებაში კახეთის გზატკეცილზე; ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, „საქნავთობი“-ს დასახლების მიმდებარედ, შპს „ნია“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: №406211291) საკუთრებაში არსებულ №01.19.15.008.106 მიწის ნაკვეთზე, უნებართვოდ აშენებული სხვა ფუნქციის შენობის, მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმის მიხედვით შენობა-ნაგებობა №01/2-ის მშენებლობა დღეის მდგომარეობით არსებული იერსახით არ დასრულებულა 2007 წლის 1 იანვრამდე და აქედან გამომდინარე, მისი ლეგალიზება ეწინააღმდეგება საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის №660-ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტში ასახულ ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნას, რომლის თანახმადაც, წესის მოქმედება ვრცელდება 2007 წლის 1 იანვრამდე უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტებისა ან მათი ნაწილების მიმართ, რაც ნიშნავს იმას, რომ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტის ან მისი ნაწილის ლეგალიზებისათვის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა, მშენებლობის უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით ნამდვილად 2007 წლის 1 იანვრამდე დაწყება, ნამდვილად 2007 წლის 1 იანვრამდე დასრულება და დადასტურება, რასაც მოცემულ შემთხვევაში არ აქვს და ვერ ექნება ადგილი.

პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის №660–ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შესაბამისი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას ობიექტის ან მისი ნაწილის ლეგალიზების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ იგი არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს (გარდა მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მოთხოვნებისა). ამავე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, შესაბამისი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას ობიექტის ან მისი ნაწილის ლეგალიზებაზე უარის თქმის შესახებ, თუ იგი ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს (გარდა მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მოთხოვნებისა). არქიტექტურის სამსახური, როგორც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-35 დადგენილების მე–2 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელი ერთ-ერთი ორგანო, ვალდებულია ზუსტად და სრულად დაიცვას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–5 მუხლის პირველ ნაწილში ასახული მითითებითი დისპოზიცია, რომლის თანახმადაც, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, რაც საკითხის განმხილველ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს უკრძალავს, რომ განახორციელოს საქართველოს მოქმედი

კანონმდებლობის, სახელდობრ საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში შემავალი საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის №660-ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესის საწინააღმდეგო ქმედება.

დასასრულს, თბილისის არქიტექტურის სამსახური განმარტავს, რომ განცხადებელი ზაზა ბასილაძე არის არაუფლებამოსილი პირი, რადგან წარმოდგენილი არ არის მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის, 51-ე მუხლის, 52-ე მუხლის, 53-ე მუხლის, 54-ე მუხლის და მე-100 მუხლის პირველი ნაწილის, უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის №660–ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის, მე-2 მუხლის, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის პირველი პუნქტის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-35 დადგენილების მე–2 მუხლის „ა“ პუნქტის და მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად,

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად

ვბრძანებ

_____ არ დაკმაყოფილდეს ზაზა ბასილაძის №AR1642064 განცხადება.

_____ უარი ეთქვას ზაზა ბასილაძეს ქ. თბილისში, სამგორში, ლილოს დასახლებაში კახეთის გზატკეცილზე; ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, „საქნავთობი“-ს დასახლების მიმდებარედ, შპს „ნია“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: №406211291) საკუთრებაში არსებულ №01.19.15.008.106 მიწის ნაკვეთზე, უნებართვოდ აშენებული სხვა ფუნქციის შენობის, მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმის მიხედვით შენობა-ნაგებობა №01/2-ის ლეგალიზებაზე

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.